


კ. გარეჯისის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური
ბიბლიოთეკა

შიგნაღი ფონდების მავნეგლები
და გათ წინააღმდეგ გრძოლა
(ბიბლიოთეკების დასახმარებლად)



საქართველოს სსრ ქულტურის სამინისტრო

ქ. მარქსის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური
ბიბლიოთეკა



წიგნის ფონდის მაცნებლები
და მათ წინააღმდეგ პრემია
(ბიბლიოთეკების დასახმარებლად)



ଶୈମିଦଶ୍ବରଙ୍ଗଳି: କିଂଦିନିରୀତି ଓ ର୍ଯ୍ୟାତ୍ମକାତ୍ମିକ ଜାନ୍ମ. ଫାର୍ମିଲ
ଡ. ଡା. ଜ୍ଞାନପାତ୍ରିଙ୍କୁ
ର୍ଯ୍ୟାତ୍ମକାତ୍ମିକରଣ: ସନ୍ତୋଷିତ ମେଧାର୍ଥୀଙ୍କରେ ମେହନ୍ତିରେ ପାତା
ଜାନନ୍ଦିଲାତୀର୍ଥ ଡା. ଏକାଶିଙ୍କୁ

წიგნი იდამიანის მეგობარი და სულიერი საზრდოა. წიგნის საშუალებით შესაძლებელია კაცობრიობის შორეული ისტორიის, მისი აწმყოს გაცნობა. ამიტომ წიგნისა და ხელნაწერის უძველესი ფონდების დაცვას დაზიანებისაგან, მათი „სიცოცხლის“ გახანგრძლივებას, განსაკუთრებული მნიშვნელობას ქონდა და აქვს, ამიტომ იყო რომ ვ. ი. ლენინი დიდ მნიშვნელობას აძლევდა წიგნების საბიბლიოოთეულ ფონდის დაცვის.

ბიბლიოთეკა სიბრძნის სალაროა, სადაც ადამიანი გონიერას იმდიდრებს ცოდნით. წიგნისაღმი ფრთხილი და სათუთი მოპყრობა ევალება როგორც ბიბლიოთეკარს, ისე წიგნის ყველა მკითხველს, რაც გან ხმარებიდან გასული წიგნის შეცვლა არც ისე ადვილია. წიგნების დაცვის მიზნით დიდ ბიბლიოთეკებში ჩამოყალიბებულია სპეციალური ლაბორატორიები (პიგინის და რესტავრაციის), რომელიც იყვლებონ ქაღალდის დაზიანების, დამკელების, დაშლის მიზეზებს და აღვენენ მათ წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებებს.

ჩვენი მიზანია გაფუზიაროთ მკითხველს ჰოგი რამ საბიბლიოთეკო ფონდების დაცვის შესახებ.

როგორც ცნობილია 4000 წლით ადრე, ვიდრე ადამიანს ქაღალდზე ჭარმოდგენა ექნებოდა, ეგვიპტელები საწერად იყენებდნენ პაპირუსისაგან დამზადებულ ფურცლებს (პაპირუსი ეგვიპტეში გავრცელებული მცენარეა); ამ მცენარის ლერებს შუაზე სჭრიდნენ, შუაგულიდან აცლიდნენ თხელ ფენებს, აშრობდნენ, აკრაფლნენ ნაპირებით ერთმანეთზე, ვიდრე არ ჰითლებდნენ ფურცლს. პაპირუსის ფურცლები ძლიერ ჰგავდა დახაზულ ქაღალდს.

უძველეს დროში საწერად შმარობდნენ პერგამენტს ანუ ეტრატს. პერგამენტი გამოყავდათ ჩატკნის, ცხერის, ხბოს და სხვა წვერილფეხა საქონლის ტყავისაგან, რომელიც ისეთი ხელოვნებით მზადდებოდა, რომ ერთი შეხედვით ქაღალდისაგან გარჩევა ძნელი იყო. პერგამენტზე ხშირად იწერებოდა ისეთი საღებავით (მელნით), რომლის ამოშლა ადვილი იყო და მისი გამოყენება ხელმეორედ შესაძლებელი.



ქალალდს ყველაზე აღრე, 105 წელს ჩვენს წელთაღრიცხვებში და, ამზადებდნენ ჩინელები აბრეშუმის ანაჩერისაგან (ანაგარიცხვისაგან), ბამბისაგან, თუთის კანისა, ბამბუკისა, სელისა, კანაფისა, და ზოგიერთი წყალ მცენარისაგან.

შემდეგ კარგი ხარისხის ქალალდის დამზადება დაიწყეს იაპონელებმა, უმთავრესად თუთის ხის კანისაგან. შორეულ წარსულში შუაპირები ძვირფასი ხარისხის ქალალდს ამზადებდნენ აგრეთვე ქსოვილების ძველი ნაჭრებისაგან, ნახმარი ბამბეულისაგან და სხვ.

ირანელები ძველთაგანვე ამზადებდნენ მაღალი ხარისხის ქალალდს ჩვერებისა და ბამბისაგან. მათ ქალალდს ჰქონდა ბრჭყვიალა ზედაპირი, რადგან დამზადების შემდეგ მას უსვამდნენ პურის ფქვილის ბუბკოს. ასეთ ქალალდზე დაწერილი ტექსტის წაშლა შეიძლებოდა და მას ხელახლა იყენებდნენ საჭრად, რადგან სალებავი მხოლოდ ზედაპირს ეხებოდა, ბოჭკომდე ვერ აღწევდა. ასეთი ქალალდის უძვირფასები ნიმუშები დღესაც მეტად სათუთად ინახება სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ბიბლიოთეკაში (წიგნების სახით).

უკვე მე-14 საუკუნეში ქალალდის დამზადება დაიწყეს დასავლეთ ევროპაში — იტალიაში, საფრანგეთში, გერმანიაში. მე-15 საუკუნეში ქალალდის დამზადების ოსტატობას ჰოლანდიელებიც იუფლებიან.

მაშინდელი დამამზადებლები ახერხებდნენ ქაღალდში გამოესხათ შელის ნიშნები, რითაც შეიძლებოდა გამოკრიბა თუ საღ, ფინ და როდის დამზადა ის.

ძველად ქალალდი მზადდებოდა ხელით, იხარშებოდა ქვაბში, ნახარში იწურებოდა საცერტში და თხელ ფენებად ისხმებოდა ყალიბში. ასეთი ქალალდი, დამზადებული მცენარის ბოჭკოსაგან, მეტი სიმტკიცითა და გამძლეობით ხასიათდებოდა (ძნელად იხეოდა).

ქალალდზე მოთხოვნილების გაზრდის გამო, დღის წესრიგში დადგა ქალალდის ქარხნული წესით მიღების საკითხი, რისთვისაც დაიწყეს მისი დამზადება მერქნისაგან. როგორც ვიცით, ქალალდის მთავარი შემადგენელი ნაწილია ცელულოზა. (რაც უფრო მეტია მოხარშულ მასაში ცელულოზის რაოდენობა, მით უფრო უკეთესია ქალალდის ხარისხი). ხის მერქნისაგან დამზადებული ქალალდი შეიცავს 50% ცელულოზას, 12—28%-მდე ლიგნინს, 0,8% ცხიმს, მცირე რაოდენობით —ფისებს, მინერალურ ნივთიერებებსა და წყალს.

ქალალდი, რომელიც დიდი რაოდენობით შეიცავს ლიგნინს, ადვილად განიცდის ცვლილებას, რაც ხელს უწყობს მის აღრე დაძველებას. ხისაგან შილებული ცელულოზა თეთრდება ქლორით, რაც ქალალდს სიმტკიცეს უკარგავს. ქლორის გარდა ქალალდის დაზიანებას იწვევს დამზადების დროს შეყოლილი მჟავეები, ტუტე-ები და სხვ.

ქალალდის დასამზადებელ მასას მოხარევის დროს ემატება შემწებებელი და შემავსებელი ნივთიერებანი. ისინი ასწორებენ, ათეთრებენ, ასევე ქალალდს, უკარგავენ მას გამჭვირვალებას, რის გამოც იგი კარგად ითვისებს სალებავს (მელანს). ქალალდის დამზადების დროს იხმარება კაოლინი, ტალკი, თაბაშირი, თეთრია და გოგირდმეუა ბარიუმი, ხოლო შემკვრელ-შემწებებლად—კანიფოლი, ცნოველური წებო და სახამებელი. ქილალდს, რომელიც ნახა-ზებისა და დოკუმენტებისათვის გამოიყენება, შემწებებელი ნივთიერება ესმება დამზადების შემდეგ.

ქალალდის დამზადების გარკვევის მიზნით იგი საცდელად იხევა. თუ ქალალდი არათანაბრად (მრუდედ) გაიხა ორივე მხრივ, ის პრიმიტიული წესით ყოფილა დამზადებული, ხოლო თუ ერთ მხარეზე სწორად გაიხა, ის ქარხნული წესით დაუმზადებიათ.

ქალალდი სხვდასხვა მიზნით მზადდება. მაგალითად: ყველაზე მაღალი ხარისხის ქალალდი მზადდება ფულის ნიშნებისათვის, № 0 ქალალდი დანიშნულია ფასიანი დოკუმენტებისა და ფერადი რეპროდუქციებისათვის (შეიცავს 75% ცელულოზას და 25% ქსოვილების ნახევარმასას), № 2 ქალალდი—სახელმძღვანელოებისათვის, № 3 - საინფორმაციო გამოცემებისათვის. გაზეთის ქალალდი შეიცავს 30% გაუშენდელ ცელულოზას და 70% ხის მასას.

მიკალტენის ქალალდი, დამუშავებული ლენინგრადის სახელმწიფო ინსტიტუტის მიერ, მზადდება ბამბისაგან (ორი ხარისხის) და იხმარება უურნალ-გაზეთების სარესტაციოდ. იგი კარგად ამაგრებს ფურულებს, მაგრამ ტექსტს ოდნავ აბნელებს.

პაპიროსის ქალალდი (კარგი ხარისხისაა) შეიცავს 50% ცელულოზას, თხელია, გამოსაღებია ნაწერ-ნაბეჭდი ქალალდის ფურულების რესტაციაციისათვის. საშრომა ფილტრის ქალალდი, როგორც დამხმარე მასალა, ყველაზე დაბალი ხარისხისაა.

ქარტოგრაფიული ქალალდი გამოიყენება რუკებისათვის, ორივე მხრივ იფარება შემწებავი საშუალებით, რის გამოც კრიალებს. მისი დამზადება გასული საუკუნის 80-90-იან წლებში დაიწყო.



შერქნის მასისა და ცელულოზის ქალალდი, ჩერებისაგან და ზარდებულ ქალალთან შედარებით, ნაკლებად მტკიცე და გამძლეა. ის აღვილად ზიანდება და ხანგრილივ შენახვას ვერ უძლებს, ამა-ტომ დაზიანებისაგან მისი დაცვა უცოლებელია.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დაზიანებისაგან გაზიეთე-ბის დაცვას, რადგან ჩვეულებრივ გაზეთი ისეთ ქალალზე იბეჭდება, რომლის ხანგრძლივად შენახვა გათვალისწინებული არ არის.

წიგნის „მჯურნალობის“ ზიზით სპეციალისტები პირველ რიგში სწავლობენ იმ გარემო პირობებს, რომელიც უარყოფი-თად მოქმედებენ წიგნზე, მაგალითად: არკვევენ იმ მასალებში შომხდარ პროცესებს, რომლებისაგანაც წიგნები შედგება, და იცა-ვენ მათ უდროო გაცვეთა-განადგურებისაგან; აღგენენ წიგნადი ფონდების რაციონალური დაცვის წესებს (ნორმებს), ამუშავებენ ყველა ხარისხის ბეჭდური ნაწარმოების აკინძვის, რემონტისა და რესტავრაციის ეფექტურ საშუალებებს.

ამჟამად უკვე შემუშავებულია დამცველებული ქალალდის გა-მაგრებისა და სიმკერივის აღდგენის ეფექტური საშუალებანი. ასე მაგალითად, საბჭოთა კავშირის შეცნიერებათა აკადემიის ლენინ-გრადის დოკუმენტების კონსერვაციისა და რესტავრაციის ლაბო-რატორიამ პროფესორ ნ. პ. ტიხონოვის ხელმძღვანელობით ჯერ კიდევ 1935 წ. შეიმუშავა გაზიეთების კონსერვაციის ხერხი (ქალალ-დის ქსოვილების გამაგრება სპეციალური შემწებავი ნივთიერების დამუშავებით), რაც გაზიეთის ქალალდს იმდენად გამძლეს ხდის, რომ მისი შენახვა რამდენიმე ათეული წლის მანძილზე შეიძლება.

თანამედროვე ბიბლიოთეკარის განკარგულებაშია წიგნებისა და ხელნაწერების რემონტისა და რესტავრაციის სრულყოფილი შეთოდები, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ „გუმეურნალოთ“ ძლიერ დაზიანებულ წიგნებსა და უურნალ-გაზიეთებს, აღვადგინოთ გამოხუნებული ტექსტები, გავამაგროთ ქალალდის ქსოვილი და სხვ.

სინათლე. დაზიანებისაგან წიგნადი ფონდის დაცვისა და შე-ნახვის მიზინთ საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს იმ ფაქტორებს, რომელთა არა წესიერი გამოყენება უარყოფითად მომზედებს წიგნების შენახვაზე.

როგორც ბუნებრივი ისე ხელოვნური განათების პირდაპირი შემქმედება მეტად უარყოფით გავლენას ახდენს წიგნებზე. წიგნები შრება, ფერს იცვლის და ქალალდი იმტკრევა. ყველაზე ადრე

ყვითლდება ის ქაღალდი, რომელიც შეტი რაოდენობით შეიტანას ხის მასას, მაღალი ხარისხის ქაღალდი უფრო გვიან ზიანდება.

სინათლის უარყოფითი მოქმედების მიზნების შესწავლამ და-
გვანახვა, რომ ყველაზე მკვეთრად მოქმედებენ იისფერი და ულ-
ტრაიისფერი სხივები.

ვინაიდან, სინათლისა და მზის პირდაპირი სხივების მოქმედება ქალალდება უარყოფით გავლენას ახდენს, ამიტომ ჭიბლიოთეკის ფონდები მომუშავე პირები ვალდებული არიან დაიცვან წიგნები სინათლის მავნე მოქმედებისაგან და ოვეიდან აიცილონ წიგნსაცავში მზის პირდაპირი სხივების შემრა.

სინათლის შევნე მოქმედების თავიდან აცილების ეფუძრები
საშუალებაა მინის შეღება თეორიად, ნარინჯისფერად და აგრეთვე
შევანე ფარდების გამოყენება. თუ წიგნსაცავის ფანჯრები სამხრე-
თისაკენაა მიმართული, მიზანშეწონილია იმ საათებში, როდესაც
მზის სხივები მათ უშუალოდ ანათებს, დარაბების დახურვა. ამას-
თანავე დაუშვებელია არმატურის დაუფარავი ნათურების ხშარება
(მიშველი, გავარებული ძაფების ბრწყინვის გამო). ასეთ შემ-
თხვევაში მიზანშეწონილია მქრქალი რძისფერი მინის ნათურის
გამოყენება ისე, რომ ის დაშორებული იყოს წიგნებისაგან.

დიდი მნიშვნელობა აქვს განათების ისეთი რეკიმის დაცვას, როდესაც მორიგი მუდმივი განათება მხოლოდ მთავარ გასასვლელებშია, ხოლო გვერდით გასასვლელში, კარადებს შორის ნათურა ინთება მხოლოდ მაშინ, როდესაც ამა თუ იმ კარადასთან მუშაობენ წიგნების შესარჩევად ან შესამოწმებლად. ამ მუშაობის დამთავრებისთანავე სინათლე უნდა ჩააქრონ.

ჰაერი. წიგნადი ფონდის დაცვისათვის აუკილებელია წიგნ-
საცავში იყოს ჰაერის თანაბარი ტემპერატურა და ტენიანობა. ვარჩი ტენიანობის პირობებში საფრთხეში ვარდება მთელი წიგნა-
დი ფონდი, ვინაიდან წიგნები დიდი რაოდენობით იზიდავს ტენს,
ეს კი ხელს უშესობს მათზე ობის სოკობისა და მიქრო-ორგანიზმე-
ბის განვითარებას, რის გამოც იცვლება ქალალდის თვისებები, ხდება წებოსა და ყდის დაშლა და იშენება ლპობა.

წიგნსაცავში დასაშეგძლია ტემპერატურა მერყეობდეს $16-18$
 ± 2 , ხოლო ჰაერის შეფარდებითი ტენიანობა კი $50-60\% \pm 5\%$
 ფარგლებში. ეს დაღვენილია და აპრობირებულია ისეთ დიდ წიგნ-



საცავში, როგორიცაა ვ. ი. ლენინის სახელობის საბჭოთა კულტურული და სამეცნიერო მუზეუმის მიმღები ბიბლიოთეკა. ამიტომ აუცილებელია ჩვენს წიგნსაცავებშიც გვქონდეს ჰაერის ტემპერატურისა და შეფარდებითი ტენიანობის ოპტიმალური ნორმები და ისინი შესაძლებლობისამებრ ზუსტად დავიცვათ.

ამ მიზნით წიგნსაცავში გამოყენებულ უნდა იქნეს ავგუსტის ფსიქომეტრი (სკელი და მშრალი თერმომეტრი), რომლის საშუალებით სისტემატიურად აღირიცხება ტემპერატურა და ტენიანობა, ხოლო მათი რეგულირების მიზნით ჩატარდება ბიბლიოთეკის გათბობა და ვენტილაცია.

ბიბლიოთეკას ხშირად თუჯის ან რკინის ღუმელებით ათბობენ, რაც იწვევს ტემპერატურის დანდ მერყეობას, ჰაერის გამოშრობასა და დამტევრიანებას, ეს კი უარყოფით გავლენას ახდენს წიგნებზე. ამიტომ მიზანშეწონილია, გათბობისათვის გამოყენებულ იქნეს აგურის ღუმელით, ანდა ცენტრალური სისტემით გათბობა, რადგან ამ დროს წიგნსაცავში თანაბარი და მუდმივი ტემპერატურა მყარდება, მტევრიც შედარებით მცირე რაოდენობით გროვდება და, რაც მთავარია, ხანძრის საშიშროება არ იქმნება. მაგრამ აქვე არ უნდა დაგვაფიქტდეს, რომ სიჭიროა გათბობის ამ სისტემისადმი მუდმივი მეთვალყურეობა (შილებიდან წყალმა არ უნდა გაფონოს, ისინი ხშირად უნდა დასუფთავდეს და სხვ).

ბიბლიოთეკასა და წიგნსაცავებში მოხვედრილი მტევრი (ნაცრისა, ნახშირისა, კირისა და სხვ.) უარყოფით გავლენას ახდენს წიგნსა და ქალალდზე, ხერეტს ქალალდს, ერთმანეთზე აწებებს მის ფურცლებს, იზიდავს სინესტეს, ეს უკანასკნელი კი ხელს უწყობს შიკროორგანიზმების, სოკოებისა და მავნე შტერების გამრავლება-გამრცელებას. ზოგჯერ შეიძლება მტევრთან ერთად მოხვდეს წვის შედეგად ქარხნებში მიღებული გოგირდოვანი გაზი, რომელიც იწვევს ქალალდის ქსოვილის სწრაფ დაშლას. ამიტომ მტევრის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვა-დასხვა სავენტილაციო დანადგარები. ამასთან ერთად საჭიროა ბიბლიოთეკის ტერიტორიის გამწვანება, წიგნსაცავის კედლების ზეთიანი საღებავებით შეღებვა, შესასვლელ კარტებთან სევლი ტილოების დაფენა, კარების მჭიდროდ დახურვა, რაც საკმაოდ შეამცირებს მტევრის დაგროვებას. ამავე მიზნით სიჭიროა წიგნების გაწმენდა წელიწადში 2-3 ჯერ; თუ წიგნები რაიმე მიზეზით დამტევრიანდება, დასუფთავება-დაწმენდა უნდა განმეორდეს მეტჯე-

რაც. ბიბლიოთეკის ყველა სათავსოს, კარების, ფანჯრების, აქტებისა
დების გაწმენდა-ლასუფთავება, უნდა ხდებოდეს 2% იან ფორმა-
ლინში ოდნავ დასველებული ტილოებით.

სტელაები - ხის თარიები დაშუმავდება ნატურალური ცხე
ლი კანაფის ზეთით და მათ მტკილისაგან დასაცავად წიგნება საე-
ციალური ლაქი. წიგნები პირველად უნდა დასუფთავდეს ხელის
მლექტრომტერსასრუტით ან ს შემდეგ მათ თაროებიდან ჩამოი-
ლებენ, ჯერ მშრალი მარლით, შერე კი 2% იან ფორმალინში
დასველებულ ტილოებით დაწმენდენ წიგნებსაც და თაროებსაც.
მტკილისასრუტებიდან გამოიყენება „მოსკვა“ და „ურალცი“. წიგ-
ნადი ფონდი შეიძლება დაიწაინდოს საეცავალურ მტკრის საწმენდ
კამერაში, რომელიც შესდგება აშშოვი კამერისა (მრგვალი ჯაგ-
რისით), მტკრის მიმღებისა (გარლის ყილტრებით) და შექანიური
ნაწილისაგან. წიგნი გასაწმენდად მოთავსდება კამერის მოძრავი
ჯაგრისის ქვეშ. იქ დაიფეროთხება და მტკერი ჩაიყრება კამერაში,
საიდანაც იგი სერს მიაქვს ზიღლებში. ამავე დროს იქვე ხდება
წიგნების გაზრობაც. მაგომ ამ კამერის ნაკლიც აქვს, რადგან ჯაგ-
რისით ჩამოყრილი ბრტყერი მთლიანად არ შედის ფრლტრში, მისი
ნაწილი რჩება, თუმცა. შიურედავაც ამისა, კამერის შრომის ნ. ყუ-
ფიფერება შეტია და ის აიოლებს ამ შრომატევად სამუშაოს. ასევე
უნდა მოხდეს კატალოგების დაწმენდა, რისფისაც ბუდიდან ამო-
ილება საკატალოგო ყუთი, ხოლო ყუთიდან - ბარათები, რომლებიც
დაიწმინდება მტკერსასრუტით. იმ წესით საარში იწმინდება 40
საკატალოგო ყუთი.

წიგნების გადათვალიერება. წიგნიდი ფონდის დაზიანების
პროცესის გადათვალიერება მისი გადათვალიერება, რათა დადგინდეს მექანიკურად, მწერებისაგას დაზიანებული და
ობის სოკოებით დაიგადებული წიგნები და მოხდეს მათი იზოლი-
რება. ამისათვის წიგნებს თაროებიდან ჩამოიღებენ. გადაასვალი-
ერებენ, გასინჯვენ ყლის ყველა ნაწილს, გვერდით მხარეებს, შიდა
მხარეს, ფორჩზიცა და სატიტულო ფურცელს, რადგან სოკოები
და მწერები ამ ადგილებს პირველ რიცმი აზიანებენ. უფრო ხდა-
რად უნდა გადათვალიერდეს ქვედა თაროზე, აგრეთვე იმ თაროებ
ზე განლაგებული წიგნები, რომლებიც მოთავსებულია კარების.
ფანჯრის კუთხეების მახლობლად, რადგან ასეთ ადგილებში მოსა-
ლოდნელია სოკოების და მწერების დასახლება. განსაკურებული
ყურადღება ექცევა ისეთ ადგილებს, სადაც მოსალოდნელია ტემპე-



რატურისა და ტენიანობის შეკვეთრი ცვალებადობა. ყველაზე მართვა
შინა ძეგლი წიგნები, რომლებიც დამზადებულია ქსოვილის მასალი-
საგან და რომლებზედაც სწრაფად სახლდებიან სოკოები. განსა
კუთრებით გულდასმით უნდა გადათვალიერდეს ის წიგნები, რომ-
ლებსაც დანესტიანების ნიშნები აქვთ.

მწერებისაგან წიგნების დაზიანება გაირკვევა დაზიანების
ფორმებით (წვრილი სასელელი ხეროლებით ყდაზე, მის ყუაზე,
ნაპირების შენაჭრებზე), ექსკრემნტებით წიგნის ფურცლებზე, ნაც-
ვალი კანითა და სხვა ნიშნებით, შემდეგ ყველა დაზიანებული და
დაავადებული წიგნი გამოეყოფა საერთო ფონდს და ცალკე შეა-
ნახება სპეციალური დამუშავებისათვის.

დაავადებული წიგნები დამუშავდება სპეციალურ სადეზინფექ-
ციონ კამერაში, დაზიანებულ წიგნებს კი გაუკეთდება დეზინფექცია,
ხოლო მექანიკურად დაზიანებულ წიგნებს — რესტავრაცია.

გარდა აღნიშნულისა წიგნების დასაცავად აუცილებელია სა-
თანადო ტემპერატურისა და ტენიანობის დამყარება, დაბალი ტე-
ნიანობის პირობებში, როცა ტემპერატურა დაბალია, ხდება წიგ-
ნების გამოშრობა, მაღალი ტენიანობის პირობებში კი — პირიქით.
ამის გამო ტემპერატურისა და ჰაერის შეფარდებითი ტენიანობის
რეგულაციის მიზნით აუცილებელია ბიბლიოთეკის ვენტილაცია.
მაგრამ ვენტილაცია ყოველგვარ პირობებში როდია დასაშვები.
როდესაც ჰაერის შეფარდებითი ტენიანობა ბიბლიოთეკის გარეთ
უფრო მეტია, ვიდრე ბიბლიოთეკაში, ვენტილაციის ჩატარება არ
შეიძლება. მაგრამ იგი საჭიროა მაშინ, როცა შეფარდებითი ტე-
ნიანობა ბიბლიოთეკის გარეთ უფრო დაბალია, ვიდრე შიგნით.
ამიტომ ზამთრის პერიოდში ვენტილაცია უნდა ჩატარდეს ნათელ
და მშრალ დღეებში, ზაფხულში კი, პირიქით, გრილ დღეებში,
განსაკუთრებით — დღის პირველ ნახევარში, რაღაც ბიბლიოთეკ-
ებში ცხელი ჰაერის შესელა გამოიწვევს ტენიანობის შემცირებას.
რაც შეეხება გაზაფხულსა და შემოღვიმეს, ამ პერიოდში შეტი
სიცროთხილეა საჭირო, რაღაც ამ დროს ბიბლიოთეკის გარეთ
ტემპერატურისა და ტენიანობის დიდ მერყეობას აქვს ადგილი.
წევიძიან ან მოლრუბლულ ამინდში ვენტილაცია დასაშვები არ
არის. თუ აღნიშნულს მხედველობაში მიყიდვებთ, განიავების შემ-
დეგ ტენიანობა $50-60\% + 5\%$ -ს არ უნდა აღემატებოდეს.

ბიბლიოთეკაში ვენტილაცია წარმოებს ხელოვნურად და სპე-



ციალური მოწყობილობის საშუალებით (გამწოვი და მომტკიცებული ვენტილაცია).

გარევეულ პერიოდში ვენტილაცია შეიძლება ჩატარდეს ფანჯრების (სარკმლების) და ფრამუგების ჩეგულარული გაღებით, მაგრამ ჰაერის ცელა სპეციალურ საშუალებათა გამოყენებით ბიბლიოთეკასა და წიგნსაცავში წლის ყველა დროსა და პირობებში შესაძლებელია კონდიციური ჰაერის მიწოდებით სპეციალური ხელსაწყოთი, რომელიც ჰაერს ფილტრავს, ე. ი. წმენდს მტვრისაგან, მიქრო და სოკო ორგანიზმებისაგან.

აქვე არ შეიძლება ორთოდე სიტყვით არ შევეხოთ ხანძარ-საწინააღმდეგო ზომებს. რადგან წიგნი სწრაფად და ადვილად იწვის, ხოლო ხანძრის ჩასაქრობად წყლის გამოყენება მას დიდად აზიანებს, ამიტომ საჭიროა პირველ რიგში წესრიგში იქნას მოყვანილი ყველა ის ღუმელი, რომელთა უწესივრობამ შეიძლება ხანძარი გამოიწვიოს. თუ ღუმელი დაზიანებულია, საჭიროა ბზარების შეკეთება, საკვამურების შეღესვა, ჭვარტლისაგან გაწმენდა, იზოლაცია, ელექტროქსელის წოწესრიგება, პაპიროსის ნამწვის სპეციალურ ურნაში ჩაყრა და სხვ. სიფრთხილის ყველა ღონისძიების გატარებასთან ერთად ბიბლიოთეკაში უნდა ვიქონიოთ ქიმიური ცეცხლმქრობი, ქეჩის ნაჭრები, ყუთები შმრალი სილით, რომლებიც საჭიროების მიხედვით იქნება გამოყენებული. ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ ე. წ. ფხვნილისებური ცეცხლმქრობი „ტაიფუნი“ მხოლოდ წიგნებისა და დოკუმენტების ხანძრის წინააღმდეგ გამოიყენება (ფხვნილისებურ ნივთიერებაში შედის სოდა, რომელიც წიგნების დაზიანებას არ იწვევს), ხოლო „ბოგატირის“ ტაპის ცეცხლმქრობი ხელს უწყობს წიგნების გაფუჭებას (ქაფი აზიანებს), რაც მიღებულ უნდა იქნას მხედველობაში ხანძრის გაჩერისას.

როგორც ცნობილია, წიგნებსა და საარქივო დოკუმენტებს მავნებლები ღიდ ზიანს აყენებენ, განსაკუთრებით ისეთ წიგნებს, რომლებიც ხანგრძლივად ინახება ხელუხლებლად წიგნსაცავში. ამ დაზიანებათა გამომწვევი მავნებლების აგრეთვე მათ წინააღმდეგ ბრძოლის ზომების შესახებ მცირე ცნობები მოგვეპოვება. ლინტერატურული მონაცემების მიხედვით მავნებლები სწრაფად მრავლდებიან და მოკლე დროში ანადგურებენ წიგნებს, რომელთა რესტავრაცია ხშირად შეუძლებელი ხდება. მწერები მრავლდებიან ყველგან, იქ, სადაც შექმნილია მათ გამრავლება-გაფრცელებისათ-



ვის ხელსაყრელი პირობები. აშიტომ საჭიროა მავნე მწყოფულობის ნააღმდეგ სისტემიური ბრძოლა. წიგნისაცავებში მავნებლების გავრცელების გზების შესწავლამ ცხადყო. რომ ისინი შეძლება იქ მოხვდნენ ბინებიდან, სასურსათ მაღაზიებიდან, ბუკინისტებისა და და კერძო პირებისაგან შეძენილი წიგნების საშუალებით. ამასთან მავნებლების გავრცელებას ელს უწყობს წიგნების შტაბილებად, მციდროდ დაწყობა იატავშე ან კედლების ხლოს, ყუთებისა და შესაფუთავი მასალის წიგნისაცავში დააღება და სხვ.

წიგნების საშიშ მავნებელთა შორის განსაკუთრებით გამოიჩინა პურის რეილი, რომელიც გავრცელებულია ყველგან და საკმაო ზიანიც მოაქვს. მისი მატლები აზიანებენ კავაოს, შოკოლადს, ხმელ ხილსა და ბოსტნეულს, მაკარონს, სამურჩნალო მცენარეებს, წიგნების ყდებს, მწერთა კოლექციებს. პერბარიუმსა და და სხვ. მატლი შეიქრება პროდუქტების მიხედვით, შაგალითად, წიგნების ყდების დაზიანების რვა შეათები პურის რეილს მიეწერება). შურის რეილის ხოჭო მოყვისფრით ან ყავისფერია, იშვიათად— ფანგისფერი, წითელი, ზომით 2—4 მმ კვერცხებს დებს პროდუქტებზე. გროვებად, დაახლოებით 140 კალს. მატლები იჩეკება 5—7 დღეში. ერთი თაობის განვითარებას სჭირდება 2—6 თვე. წლის განმავლობაში ოპტიმალურ პირობებში იძლევა 4 თაობას.

ავეჯის რეილი. გავრცელებულია საბჭოთა კავშირის მთელ ივრობულ ნაწილში. მისი მატლები კვების მიზნით ხვრეტენ ავეჯის თითქმის ყველა ნაწილს. დაზიანების შედეგად ავეჯს (ხის ნაწილებს) ნაჩვრეტები უჩნდება. ავეჯის რეილი წიგნში იშვიათად გვხვდება (შემთხვევით შეძლება მოხვდეს), მაშინ, თუ წიგნის ყდა ხისაა.

ავეჯის რეილის ხოჭოს სიგრძეა 3—4 მმ სხეულის ფორმა ცილინდრული. ზემოდან მოშავთ მურა ფერისა, ნაცრისფერი ნაზი ბეწვ თ დაფარული. მატლის სიგრძეა 4 მმ. ფერი—ყვითელი (თავისა და ყბის გარდა, რომელსაც მუქ-ყავისფერი შეფერილობა აქვს) მატლის სხეული 13 სეგმენტისაგან შედგება, მათგან სამი— მეერდისა. მეერდის თითოეული სეგმენტი ატარებს წყვილ სამნა- წევრიან ფეხს. ყველა სეგმენტი დაფარულია ბეწვით. დედალი რკილები კვერცხებს დებენ სასელელ ხვრელებში და საგნების ქვე-

და შხარებს, ნაპრალებში. ემბრიონალური განვითარება საჭურავისა
ლოდ 15 დღე გრძელდება. კვერცხებიდან გამოჩეკილი მატლები
ეკვრიან იმ საგნებს, რომლებზეც გამოიჩეკენ, და იწყებენ კვებას,
აკეთებენ სასვლელ ხერელებს, რომელთა დიამეტრი 2 მმ. აღწევს
(ხვრელები ხშირად ერთმანეთში გადახლართულია). მაგნებლები მა-
სობრივი გამრავლებისას მტრისფერ მასიდ აქცევენ სის საგნებს.
დაჭუპრების წინ მატლები წიგნის ყუაში თავსდებიან და იქ ჰუპრ-
დებიან, ოვალურ აკვანში.

ჰუპრიდან გამოსული ხოჭო ღრღნის ხის ან წიგნის ყუის
შრეს და გარეთ გამოდის. შევნებელი ფარულ ცხოვრებას ეწევა
და მისი გამოცნობა შეიძლება ხმით, რომელიც ხშირად მოისმის
დაზიანების აღვილიდან.

ჭრელი რკილი. გავრცელებულია საბჭოთა კავშირის საშერეო
და შუა რაიონებში. ხოჭოს სიგრძეა 6 მმ. ფერი—მოშავო-მომწვა-
ნო, მატლი—თეთრი, გამსხვილებული მკერდის რგოლებით, მოღუ-
ნული ბოლოთი და გრძელი ოთხნაწევრიანი ფეხებით. არის ზემოხ-
ვიებიც, როდესაც ეს მწერი წიგნში გაკეთებულ ხერელს ტოვებს
და ხის თაროში განაგრძობს მაგნე მოქმედებას. იგი წიგნის ფურ-
ცლებში აკეთებს 0,5 მმ-მდე დიამეტრის სასვლელ ხერელს, რომ-
ლითაც მოფენილია წიგნი; ხშირად წიგნი, მისი სისქის მიუხედავად,
მთლიანად დაღრღნილია და მას უამრავი ხერელი ემჩნევა.

ბაცაცა ხოჭო. გავრცელებულია ყველგან, სიდიდითა და მრა-
ვალი გარეგანი ნიშნით; ბაცაცა ხოჭოს იმაგოები რკილებს მოგვა-
გონებს. მატლი წააგავს პურის რკილის მატლს (მხოლოდ უფრო
ხშირი ბეჭვით არის დაფარული). ეს მაგნებელი აზიანებს ცხოვ-
ლური და მცენარეული წარმოშობის მრავალ პროცესს: პურს,
ორცობელას, ბეჭვიულს, ფიტულებს, ტანისამოსს, თივას, შიამიან
სამკურნალო მცენარებს და სხვ.

როდესაც ბიბლიოთეკის წიგნები, რვეულები, საარქივო დო-
კუმენტები, რუკები, კალკი მოთავსებულია იმ შენობის ახლოს,
სადაც ორგანული ნივთიერებანი ინახება, ხოჭოები იქიდან გამო-
დიან და აზიანებენ მათ. ხოჭოები მცირე ზომისაა, აღვილად შე-
დიან ყოველგვარ ხერელსა და ნაპრალში (განსაკუთრებით ზიმში-
ლის დროს ძლიერ მოედება ხოლმე ქაღალდსა და წიგნის ყდას).
წიგნის ყდაში და მის მახლობლად ქაღალდის ფურცლებზე ხოჭო-
ები აჩენენ წიგნის ზედაპირის პარალელურ სასვლელ ხერელებს,
ხოლო ყდასა და ყუაში—1—2 მმ დიამეტრის გამოსასვლელ ხერე-



ლებს. ძლიერი დაზიანების შემთხვევებში ხშირად წიგნების უფლებამოსია ცვია, ხოლო დაზიანებული აღვილები ამოქსებულია ნაღრღნითა და მწერების ექსკრემენტებით. ზრდის დასრულების შემდეგ მატლები ქუპრდებიან პარკებში. პარკი ნატურისებრია, ოვალური ფორმისა; იგი შეკონტრიტებულია საჭმლის ნარჩენებისაგან, რომლებიც ემაგრება ტომრებს, მუყაოს და სხვ. შეუძლობის სტადია 13—15 დღე გრძელდება.

თავდაცვის მიზნით ხოჭოს ახასიათებს თავის მოქარუნება, რის შემდეგაც რამდენიმე ხანს უმოძრაოდ არის.

კუჭიანი ბაცაცა. ხოჭო მურა ან ქარცი ფერისაა. მატლი მოყვითალო—თეთრია, მოღუნული, სიგრძით 6 მმ-მდე. კვების მიზნით ირჩევს ფქვილს, ხშირად ვრცელდება იმ წიგნის ყუაში, რომელშიც ბევრია ფქვილის ბუბქი.

ტყავიჭამიები ამ ოჯახის ხოჭოების დაშახასიათებელია სხეულის გაბრტყელებული, ცილინდრული ფორმა, მოკლე გურჩისებური ულვაშები, მოკლე თავი ხუთნაწევრიანი ფეხებით. სხეული მეტწილ შემთხვევებში დაფარულია ბეჭვით ან ქერცლით. მატლი მოგრძოა, ჩვეულებრივ ცილინდრული, მაგრამ პატარა თავით, ხშირი ბეჭვითა და შედარებით მოკლე ფეხებით. საქართველოში ამ გვარის წარმომადგენელთაგან მეტად გავრცელებულია და დიდი ზიანი მოაქვს ქაცვიანი ტყავიჭამია და შაშხის ტყავიჭამიას.

ჩვეულებრივი ტყავიჭამიები აზიანებენ ხორცს, ლეშს, ტყავს, ზოოლოგიურ კოლექციებს, ბაშბას, მატყლს, აბრეშუმის ქსოვილებს, წიგნის ყდასა და ყუას, კორპს, თამბაქოს ფთთლებს, ხის თაროებს, იატაქს და სხვ. ვინაიდან წიგნებს ჰოგჯერ ტყავის ყდა და ყუა აქვს, სწორედ ამ ტყავის შიგნით დედალი ხოჭო დებს კვერცხებს, გამოჩეკილი მატლები კი ღრღნიან ტყავს სხვადასხვა მიმართულებით, რის გამოც წიგნი მთლიანად დაჭმული და დაზიანებულია. შაშხის ტყავიჭამია ხოჭოს სხეული დაფარულია რუხი მოყვითალო ბეჭვით, ხოლო ზედა მხრიდან მოკლე ხშირი, წვრილი შავი ბეჭვით. მატლის სიგრძეა 10—13 მმ ეს ხოჭო მეტადზე ატარებს საშწყვილ ფეხს. მისი კვერცხი მოთეთროა, ბრტყვიალა, სიგრძით 2 მმ ჟუპრი მოყვითალო—თეთრია, მუცლის სეგმენტებზე ტერგიატის მხრიდან ორი ცრუცერებით. ქაცვიანი ტყავიჭამია ხოჭოს სიგრძე 5,5 მმ. მისი ზედა მხარე მუქ-რუხი ფერისაა. ფარივა დაფარულია მოთეთრო-ყვითელი ბეჭვით. ორივე ამ ხოჭოს კვირცხები, მატლები და ქუპრები ძლიერ გვანან ერთმანეთს.



ბეწვეულის ხოჭოების ტყარიდან საქართველოში, როგორც მანებელი, ცნობილია შემდეგი ორი სახეობა: ბეწვეულის ლაქები-ანი ხოჭო და ბეწვეულის ზევი ხოჭო.

შემოთ აღწერილ ტყავიჭამიებთან შედარებით ეს მწერები შეიძლება მცირებული განვითარებული სახლებისა, მოშაონ-მოყავისფრო, მატლი სიგრძით 6—9 მმ აღწევს. ბეწვეულის ზევი ტყავიჭამია ხოჭოს ზევი სხეული აქვს, ყავისფერი ელფერით. მისი სიგრძეა 3, 5—4, 5 მმ მატლი ზემოაღწერილ სახეობას წააგავს.

ამ ორი სახეობიდან უკეთ შესწავლილია ბეწვეულის ლაქებიანი ხოჭო, იგი გვხვდება საცხოვრებელ სახლებსა და წიგნსაცავებში, აზიანებს წიგნებს. ხშირად ალინიშნება მატლის ნაცვალი კანი წიგნის ყდაში, სადაც ის მომრგვალო ხერელებს აკეთებს. მატლები საკვებად ირჩევენ ბუმბულს, ბეწვს, ტყავს, რის გამო ბიბლიოთეკებისა და საერთოდ წიგნსაცავების მახლობლად ამ უკანასკნელთა შენახვა უნდა აიკრძალოს. ასევე დაუშვებელია ბიბლიოთეკაში მწერთა კოლექციების, ფრინველთა და ცხოველთა ფიტულების შენახვა.

ეს მავნებელი ზამთრობს ხოჭოს სახით. დედალი ხოჭო კეერ-ცხებს აპრილში დებს. ემბრიონის განვითარება 20 დღე გრძელდება, ხოლო მატლისა (გარემოსთან დაკავშირებით) — 5—7 თვე. ამ ხნის მანძილზე იგი კანს 7—11 ჯერ იცვლის. კუპრის ფაზა 6—10, ზოგჯერ კი 16—17 დღე გრძელდება, რაც დამოკიდებულია გარემო პირობებზე. ბეწვეულის ლაქებიანი ტყავიჭამია წელიწადში ერთ თაობას იძლევა.

მუზეუმის ხოჭოები. სხეულის ფორმა კეერცხისებრია. ულვაშები კი 5—11 ნაწერიანი, 1—3 ნაწერიანი გურჩით; სხეული დაფარული აქვთ ქერცლით. ხოჭოს სიგრძეა 2—4,5 მმ ანთრენუსებიდან მავნეობის მიხედვით განსაკუთრებით გამოიირჩევა სამი სახეობა: ანთრენუს ვერბასცი, ანთრენუს სკრობულარია და ანთრენუს მუზეურუმ. პირველი მათგანის ხოჭო ზედა მხრიდან დაფარულია მუქ-ზევი ქერცლით. მატლი პატარაა, დაახლოებით 3—4 მმ სიგრძისა, აქვს ძლიერ განვითარებული ყბები; მისი სხეული დაფარულია ბეწვით. მეორის ხოჭო 3—3,5 მმ აღწევს; მისი სხეული ზედა მხრიდან მოშავო-ყავისფერი, ხოლო ქეედა მხრიდან მოთეთრო ქერცლით არის დაფარული. მესამე, მუზეუმის ხოჭო, ზევი ფერისა, ულვაშები 8—ნაწერიანი აქვს, 2—ნაწერიანი გურჩით. ზერ-

გის უკანა კუთხეები და ლაქა ფარის წინ მოყვითალო-ტექნიკური ზედა ფრთხებზე აქვს საში ტალღისებრი, განივი მოყვითალო ზოლი. ხოჭოს სიგრძე 2-3 მმ.

ეს ხოჭოები არც ისე სერიოზულ მავნებლებლებლად ითვლებიან, მაგრამ ძლიერ ანაგვიანებენ წიგნებსა და ქალალდებს. იქვებებიან მხოლოდ მატლები, რომლებიც აზიანებენ ტყავს, პერგაშენტს, ბეჭვიულს, ცხოველთა ფიტულებს, ვწერთა კოლექციებს, წიგნებსა და სხვ. წიგნების დაზიანების დროს ისინი ღრღნიან ყდებს და ანაგვიანებენ მათ.

ხოჭოები ხშირად კვერცხებს ათავსებენ წიგნების ყუის დაზიანებულ და ამასთან შედარებით ღრმა იდგილებში. მატლები 5—7 დღის შემდეგ იჩეკებიან და სწრაფად ვითარდებიან, თუ საკვები უხვად აქვთ და შენობა თბილია, ხოლო თუ შენობაში ციფა და საკვები ნაკლებია, მატლის ფაზა ჭიანურდება. მატლები შიმშილის დროს საკუთარი ნაცვალი კანითაც კი იკვებებიან, მაღალი ტემპერატურის პირობებში მთელი ზამთრის განმავლობაში შრავლებიან და მავნე მოქმედებას განაგრძობენ.

ჩრჩილები, ანუ პეპლები პატარა ზომის მწერებია, ვიწრო ფრთხებით, რომელთაც ნაპირებზე გასდევს ჯინჯილები. თავი ჩეეჭლებრივ დაფარულია ბეჭვით. ულვაშები ფრთის წინა ნაპირზე მოკლე ან რამდენადმე გრძელია, ძაფისებური, იშვიათად წაშშამისებრი ან საფარცხლისებრი; აქვთ სუსტად განვითარებული ან განუვითარებელი ხორთუმი.

ქურქის ჩრჩილი. გავრცელებულია საბჭოთა კავშირის ეკრო-ჰულ ნაწილში და კავკასიაში, ჩინეთში, იაპონიაში, ინდოეთსა და ამერიკაში. მწერის თავი ყავისფერი ბეჭვებითაა დაფარული. ხორთუმი მოკლეა, სხეული—ზაკი ყავისფერი, ბრჭყვიალი. მამალი პეპლები გაშლილი ფრთხებით 10—13 მმ-ია, ხოლო დედალი—12—16 მმ მისი წინა ფრთხები მუქ-ყავისფერია, აქვს ჩალისუერი ჯინჯილები. მატლი მოთეთრით, მუქ-ყავისფერი თავით, რომლის სიგრძეა 6,5—8,5 მმ კვერცხი პატარა ზომისაა, გასწერიები ღარებით. ჭუპრდება იმ საგანზე მიშაგრებულ ხალთაში, რომლითაც იკვებება. გატლება აზიანებენ შალეულს, ბეჭვიულს და მის ნაწარმს, წიგნებს, რომელთაც აქვთ შალის ქსოვილისაგან დამზადებული ყდები, ხშირად კი—მუყაოს ყდებსა და ქალალდებსაც, სადაც იკვეთებენ სასვლელ ხერელებს, რის გამო წიგნები ძლიერ ზიანდებიან და ხშირად უფარგისხა.



ნალიჩის ჩრჩილი. აგრეთვე სერიოზულ მავნებლად ითვლება კუტანებული წაგნებისა და ქალალდებისათვის; გავრცელებულია ყველგან უძველესი ჭირთა კავშირის ეკროპულ ნაშილში. იმაგოს გარეგნული ნიშნები: თავი დაფარულია ბრჭყვიალა ბეწვით; დედალი პეპელა გაშლილი ფრთხით 17—22 მმ-ია, ხოლო მამალი—14—18 მმ ზრდასრული. მატლი მოყვითალო ბაც-თეთრია, მუქი ყავისფერი, 9—11 მმ სიგრძის თავით, ჩრჩილის კვერცხი პატარაა, ალაგ-ალაგ ჩაღრმავებული. ზამთრობს უკანასკნელი ასაკის მატლის ფაზაში; პეპლები ფრენას იწყებენ პრილის ბოლოს—მაისში, აგვისტოსა და სექტემბერში. წლის განმავლობაში იძლევა ერთ-ორ თაობას. ცხოვრობს ადამიანის ბინაში, აზიანებს ქურქს, შალეულს, ქეჩას, წიგნებს და სხვ.

ტანისამოხის ჩრჩილი. ფართოდაა გავრცელებული ყველგან. პეპელას თავი დაფარული აქვს ბაცი ყვითელი ან მოყვითალო-წითელი ბრჭყვიალა ბეწვით. წინა ფრთხით ბაცი ჩაღისფერია (ოქროსფერი ელფერით), ზოგჯერ—მუქი ყავისფერი. უკანა ფრთხი ნაცრისფერია. ბრჭყვიალა ჯინჯილებით. დედალ პეპელას სიგრძე გაშლილი ფრთხით შეადგენს 9—12 მმ. ხოლო ზამთრისა—9.5 მმ მატლი ჭუპრდება ხალთაში, რომელიც შეკოწიშებულია ექსკრემენტებისა და საკვების ნარჩენებისაგან. ჭუპრობის ფაზა 8—30 დღე, ზოგჯერ 5 თვეც გრძელდება. გამოფრენილი პეპლები სწრაფად უდღლდებიან (4—10 საათში). შემდეგ კი დებენ კვერცხებს. კვერცხდება გრძელდება 5—7 დღე. ერთი თაობის განვითარებას სეირდება 9—16 თვე. აზიანებს ქურქს, შალეულს, ბუმბულს, ტყავს, წიგნის ყუასა და ყდას, რომელთაც გადაკრული აქვთ შალის ქსოვილი. ზოგიერთ ლიტერატურულ წყაროში აღნიშნულია, რომ ტანისამოსის ჩრჩილის მატლები იკვებებიან ფქვილით, მარცვლეულით, სიმინდით და სხვ. მაგრამ ეს არასწორ ცნობებს ემყარება. წიგნის დაზიანების ფორმები თითქმის იგივეა რაც ხალიჩის ჩრჩილის შემთხვევაში.

თივაჭამიები. თივაჭამიების რაზმში შემავალი მშერები ზომით პატარები არიან 1—2 მმ აღწევენ. მათ აქვთ ორი წყვილი ფრთა, მაგრამ არიან სახეობანი, რომელთაც ფრთხით შემოკლებული ან სრულებით არა აქვთ. ფრთიან ფორმებს აქვთ როგორც რთული, ისე მარტივი თვალები. მუცელი 9 რგოლისაგან შესდგება.

ამ რაზმიდან ჩვენ აღვწერთ ორ სახეობას: სახლის თივაჭამია და წიგნის ბუგრი.



სახლის თივაჭამია ფართოდ გავრცელებული შეერთიანებულისათვის
პატარა აქცეს, სხეული მოთეთრო-მოყვითალო, 2 მმ. სიგრძისა, წინა-
ფრთხები მოკლე, ძლიერ სუსტად განვითარებული, უკანა ფრთხები
კი სრულებით არ აქცეს, შუა და უკანა შეერთი ერთშენეთისგან
გამოყოფილია, ულვაშები 27—29 ნაწილიანია.

წიგნის ბუგრი. გავრცელებულია ყველგან, აქცეს ბაცი ნაცრის-
ფერი სხეული, მისი სიგრძეა 1 მმ ფრთხები არ გააჩნია.

თივაჭამიები სახრთოდ მცენარეულით შევებავი მშეერებია და
იქვებებიან ლიქენებით, სოკოებით, დალპობაში შეიძლება მცენარე-
ული ნარჩენებით. ზოგიერთი სახეობა იქვებება აგრეთვე მრავალი
ორგანული ნივთიერებით მავ, წიგნებით, მმრალი წიგნების კოლექ-
ციებით და ჰერბარიუმით. კერძოდ, სახლის თავაჭამია აზიანებს
სამივე უკანასკნელ საგანს; ხოლო წიგნის ბუგრი, მათ გარდა ხა-
ლიჩებსაც.

ქარცი ტარაკანი და შავი ტარაკანი სითბოსა და სინესტის
მოყვარული მშეერებია. მათი საკედი მრავალფეროვანია, მაგალი-
თად, საკონდიტრო ნაწარმი, პური, ხორცი, კარტოფილი, შაქარი,
ქალალდი, წებო და სხვ. წიგნებში აზიანებენ ბუბკოს, ყალამქარის
ყუას, ტყავისა და მუყაოს ყდებს, ძლიერ ანაგვიანებენ და სერიან
მათ. ქარცი ტარაკანი მოყვითალო-ყავისფერია, შედარებით მსხვი-
ლი; კვერცხებს დებს პარკმი, რომელიც შუცლის ბოლოს აქცეს
მოთავსებული (თოთოეულ პარკში რამდენიმე კვერცხია). პარკიდან
გამოსული მატლები თეთრი ფერისაა და შემდეგ მუქდებიან.

ტარაკანების წინააღმდეგ საჭიროა დღე 10%-იანი და ჰექსა-
ქლორინის ფხვნილის შეფრქვევა. გავრცელების კერებში 1 კვ მეტრზე
საჭიროა 12 30 გრ ჰექსაქლორინი (სამუშაოს ასრულებს საღეზინ-
უექციონ ბაზა).

წიგნის დამშლელი ხოკიები. წიგნის დაშლა დაზიანების ერთ-
ერთი უმთავრესი გამომწვევია სოკო ორგანიზმები, რომლებიც
მათზე სახლდებიან. იმ მცირეოდენი ლიტერატურიდან, რომელიც
სოკოებით ქალალდის დაზიანების ხეხდა, გამოირჩევა დოქტორი
სეის შრომა. მან ყოველმხრივ გააშუქა ეს საკითხი და იღწერა
წიგნებსა და საბუთებზე გამოყოფილი სოკოების ბიოლოგიური
თვისებები, აგრეთვე ქალალდის ნიმუშების ხელოვნურად დაავადე-
ბის ცდები, რის შედეგად ქალალდისაგან გამოყოფილ სოკოთა
შორის 27 სოკო პათოგენიური აღმოჩნდა. წიგნებისა და ქალალდის
დამშლელ სოკოებზე საბჭოთა კავშირში პირველად მუშაობა დაიწ-

ყო თმელიანს 1928 წ. სამუცევიჩიმა წიგნებიდან, ჰაერჩურაზ, იატაკიდან და სხვ. გამოყო 69 სახეობა. მათი უმეტესობა ქალალდა ძლიერ აზიანებდა, ხოლო ზოგი მათგანი ქმნიდა მხოლოდ ზედაპირულ ფიფქს.

ამ საკითხის მეცნევარნაც ეკი და თაშიში თველიან, რომ ქალალდა შლიან ის სოკოები, რომლებიც გამოყოფენ ფერმენტებს ან ენზიმებს. ამასთან მათი აზრით ქალალდის უჯრედების და შლას იწვევს არა მარტო ის სოკოები, რომელთაც აქვთ ფერმენტი ცელულოზა, არამედ ისეთი სოკოებიც, რომლებიც ფერმენტული მოქმედების შედევად გამოყოფენ სიმჭავეს; ეს უკანასკნელი კი უარყოფითად მოქმედობს ქალალდზე, იწვევს მის დაძველებას და წიგნის გაფუჭებას. შემდგომ წლებში ო. ანჩაბაძემ გულდასმით შეისწავლა ქალალდის დამმლელი სოკოები, აღნიშნა, რომ პირველ ხანებში წიგნებსა და ქალალდებზე სოკოები სახლდებიან და გვაძლევენ სხვადასხვა ფერის (წითელი მწერანე, მუქი-ყავისფერი, ის-ფერი, ნაცისფერი) ფიფქს. ხშირად სოკოები ვითარდებიან ფურცლის შთელ ზედაპირზე და ფარავენ მას. სოკოს განვითარება იწვევს ქალალდს მტკრევას, რის გამოც იგი მტკრად იქცივა. ასეთ ქალალდზე ადგილად შეიმჩნევა სოკოს ნაყოფიანობა პიკნიდიებისა და პერიტეციუმების სახით. სოკოები წიგნებზე სახლდებიან ტენიან პირობებში განსაკუთრებით მაშინ, როცა წიგნები დიდი ხნით ხელუხლებლიდ აწყვია, დაძველებულია ან დამზადებულია დაბალი ხარისხის მასალისაგან.

წიგნებზე ხელშემწყობ პირობებში სახლდებიან ჰაერში გაფრცელებული სოკოები, ამიტომ საჭიროა სოკოების განვითარებისათვის არახელსაყრელი პირობების შექმნა (წიგნსაცავში ნორმალური ტემპერატურისა და ჰაერის შეფარდებითი ტენიანობის დაცვა, დროული ვენტილაცია-განიავება), დაავადებული წიგნების ცალკე მოთავსება და მათი დაწმენდა ჯერ მშრალი და შემდეგ 2%-იან ფორმალინში დასველებული ტილოებით; თაროებისა და კარადების დაწმენდა ამავე ხსნარში დასველებულ ტილოებით და სხვ.

ყველაზე კარგ შედეგს იძლევა წიგნების საღეზინფექციო კამერაში დამუშავება, იმ წიგნებისა და ხელნაწერების გამოკლებით, რომლებიც პერგამენტისა ან ტყავისაგანაა დამზადებული, რადგანაც ფორმალინი იწვევს მათ დაწვას (ასეთ შემთვევაში დეზინფექცია სწარმოებს ტიმოლის 3—4%-იან ხსნარით სპირტში).

მღრღნელები. წიგნებსა და ქალალდებს აზიანებენ რუხი ვირ-

თავები, შეავი ვირთაგვა და ბინის თაგვები. ისინი ვრცელდებიან უკეთესობაში, საღაც არის საცხოვრებელი ბინები, საწყობები, ელევატორები და ა. შ., აზიანებენ ყოველგვარ საკვებ პროდუქტს, ქსოვილებს, წიგნებს, ქალალდებს. იმ მიზნით, რომ ბიბლიოთეკებსა და წიგნსაცავებში მღრღნელები არ გავრცელდნენ და დიდი ზარალი არ გამოიწვიონ, რომლის ანაზღაურებაც (წიგნების დაზიანების შემთხვევაში) შეუძლებელია, მათ წინააღმდეგ ტარდება ბრძოლის შემდგილის საძირის მიზნის მისამართი: ბიბლიოთეკებსა და წიგნსაცავებში, საწყობებსა და ინვენტარში, ბიბლიოთეკის ტერიტორიაზე დაცულ უნდა იქნას ჰიგიენის ყველა შოთხოვნა (ბიბლიოთეკების, წიგნსაცავების დასუფთავება, დაგვა და ნაგვის გადაყრა), ხოლო მათი დარღვევის შემთხვევაში გამოყენებულ იქნას დერატიზატორები, კრისიდი, თუთიის ფოსფატი სხვ. პრეპარატები (სათანადო სამუშაოს ჩატარება სადეზინფექციას გამოიწვია).

წიგნების დაცვის და მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლისათვის საჭიროა ჩატარდეს გამაფრთხილებელი პროფილაქტიკური ლონის მიმღება:

წიგნსაცავებში ტემპერატურისა და ტენიანობის ოპტიმალური პირობების შექმნა;

წიგნების დაფერხთვა, განიავება, პერიოდული დათვალიერება (არანაკლებ სამჯერ).

ძლიერ დაზიანებული წიგნების ყდების შეცვლა და მათი ხელახლა ავინძვა, ძელის ყდების დაწვა;

შეძენილი წიგნების (ბუჟინისტების და კერძო პირებისაგან) იშოლირება და სპეციალურ კამერაში დამუშავება (დაუმუშავებლად წიგნსაცავებში მათი შეტანა უნდა აიკრძალოს);

ბიბლიოთეკისათვის კარაცების, თაროებისა და სხვ. შეძენის დროს საჭიროა შეირჩეს მუხის მასალა, რადგან რკილები წიფლის მასალაზე დიდი რაოდნობით სახლდებიან;

დაუშენებელია ხის ავეჯისა და სხვ. მასალის დაუმუშავებლად შეტანა წიგნსაცავში.

ქიმიურ ლონის მიმღებათაგან პირველ რიგში საჭიროა, მავნე მწერების მოსპობის მიზნით, საღებავებში დღტ 20%-იანი ემულსიის შერევა, რისთვისაც საღებავის ყოველ 95 წილ წინის ერთეულში უნდა დაემატოს ემულსიის 5 წილი. ამგვარად შეზარებული



კონფერენციალი 1 კგ სალებავით უნდა დაიფაროს 2,5 მ² შესალებავი ფართისა და მიზანისა თობი.

დეზინფექცია წიგნსაცავში ტარღება წელიწადში ორჯერ, ადრე გაზიფხულსა და შემოდგომაზე. შესხურებისას იყენებენ შლანგიან ჰიდროპულტს ან დეზინფალს, ხოლო შეფრევევისას — შესაფრევა აბარატ „ფუქსს“. შესხურება იწყება იატიკის, შერის, კარალებისა და თაროების დამუშავებით.

დამოუმტკიცი ლიტერატურა

1. ნ. ალექსაძე—წიგნებისა და საარქივო დოკუმენტების მაცნებლები და მათ წინააღმდეგ ბრძოლა.
თბილისი, 1954 წ.
2. ტ. ანჩაბაძე—შასალები ქალალდღამშლელი სოკოების შესწავლისათვის. „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის შოამბე“, ტომი მე-14, 1947 წ.
3. ი. გრიგორიევი—ბიბლიოთეკის ფონდების ორგანიზაცია.
თბილისი, 1962 წ.



Министерство Культуры Грузинской ССР
Государственная Республиканская Библиотека Груз. ССР
им. К. Маркса

Вредители книжных фондов и борьба с ними

Тбилиси

1963

ଶ୍ରେଣୀମାଟିଏରିଲାଇନ୍ ଫାସାବ୍ଦେପଦ୍ଧତି 14 VIII ୬୩ ଫ୍ରାନ୍ସିଆରେ ନିର୍ମାଣ ୬x୯.୫
ଫ୍ରାନ୍ସିଆରେ ନିର୍ମାଣ ୬୦x୮୪ ନାଡେପଦ୍ଧତି ତାବନ୍ତି ୧, ୫.

ଲାଖ୍. ଟଙ୍କାରୁଗାଲୁରି ଲାଖ୍.-ଦିଲ୍ ଲାକ୍ଷାରିଥା, ଗଲାକୁଳ ଜ୍. № 3
ଶ୍ରେଣୀମାଟିଏରିଲାଇନ୍ 2388 ଉପି 02140 ପିଲାଶି 1700

[.5]

୨୯୮/୧୮୩



ସାହିତ୍ୟ